ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის
რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №4-1

ქ. ბათუმი, 14 მაისი, 2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

მამუკა თამაზაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტ-რუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის განმეორებით გამოცხადება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ რამდენადაც ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთავე-ლის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარ-ჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში (N442) მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ პრეტენდენტს, მიზანშეწონილია მისი განმეორებით გამოცხადება.
საკონკურსო კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას.

კომისიამ დაადგინა:

1. განმეორებით გამოცხადდეს ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი;

2. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 14 მაისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

მამუკა თამაზაშვილი